საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 27 ივლისის

დადგენილება №2106

2016–2017 სასწავლო წელს სტუ-ის

დოქტორანტურაში მიღების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2016–2017 სასწავლო წლისათვის გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე;
2. დამტკიცდეს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები (დანართი 1);
3. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
4. დამტკიცდეს 2016–2017 სასწავლო წლისათვის დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებების და თანმხლები დოკუმენტაციის შემსწავლელი საფაკულტეტო დროებითი კომისიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის საუნივერსიტეტო კომისია (დანართი 2).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე